№ 235 ნოემბერი 4, შაბათი 1889 ნოემბერი 4, შაბათი № 235

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მოქველიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—10)

ისყიდება ბ-ნ საბინინის წიგნი

„საქართველოს სამოთხე“

თითო წიგნი ღირს 10 მანეთი, გაგზავნით—12 მანეთი.

მსურველმა მიჰმართოს: ბაგრატიონის ქუჩაზე, კოპაძის სახლებში, № 16, თვით ავტორს. (3—3)


### წლიური საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 5, დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1888 წლის 1-ლ სექტემბრიდგან 1889 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე 1889 — 1890 წლისათვის და

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.


ქართული თეატრი

სამშაბათს, 7 ნოემბერს,

ბენეფისი

კ. დ. ყიფიანისა

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ბაგრატ IV**

ისტორიული დრამა 4 მოქმედ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის თეატრის არტისტი ბ-ნი სვიმონიძე.

II

დატრიალდა ჯარა

ვოდევილი 1 მოქმედ. კ. ყიფიანისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნი ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** «ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას» არ ასვენებს თურმე ის გარემოება, რომ ბ-ნ ყორღანოვის ვაგზლიდამ ჩამოსული ხალხი ჯერ კიდევ თავისი ცხენის რკინის გზით ვერ სარგებლობს... ბეში ჩადის ეხლა შაურები, ამის გამო ეს „უსახელო საზოგადოება“ ეხლა პროექტს არდგენს და უნდა რკინის გზის სადგურზედ მიხეილის ქუჩიდგან პირდაპირ შტო გაიტანოს ახლად გაყვანილ კოტრინის ქუჩით, რითა ვარანცოვის ძეგლიდგან ახალმა ვაგონებმა ზედ-წარწერით „ვოგზალი“ პირდაპირ რკინის გზის სადგურამდე ატაროს ხალხი 3 კაპიკადაო.

*** სამედიცინო საზოგადოების უკანასკნელს კრებაზედ, 1 ნოემბერს, სხვათა შორის წაუკითხავთ წერილი ექიმის ფინკელშტეინისა. ეს წერილი ფრიად საყურადღებოა იმ მხრივ, ტფილისში გამოყვანილს ავჭალის წყალს შეეხება. ბ-ნი ფილკენშტეინი ამტკიცებს, ამ ორის წლის წინად ტფილისის საზოგადოება ძალიან შესცდა, რომ უპირატესობა მტკვრის წინაშე ავჭალის წყაროებს მისცა და ეს წყაროები უფრო საუმჯობესოდ იცნოო. როგორც იმ დროის ოქმიდგან სჩანს, ამ საკითხის გადაწყვეტის დროს საზოგადოებას იმითი უხელმძღვანელნია, რომ წყაროს წყალში გადამდები ნივთიერებანი ვერ ჩაერევაო. აი, ამ გარემოებამ გამოაყვანინა ეს წყალი, თუმცა-კი ამ წყაროებში სამინერალო მარილეულობა დიდძალი აღმოაჩინა ამ წყლის გამომკვლეველმა კომისიამ საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა მაშინვე მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ავჭალის წყალში მტკვარიც ერევა შიგ და ამიტომ მარტო იმ წყალზედ ბაასი და ლაპარაკი საქმეს ერთიან თავს ვერ ეღლებაო. ქალაქის გამგეობა ამტკიცებდა, რომ მილს გავაუკეთესებთ და მტკვარი აღარ შეერევაო. ამიტომაც ლაპარაკი და გამოძიება სულ არა ჰქონიათ იმ წყლის შესახებ, რომელიც აქამდე გამოჰყავდა და ეხლაც გამოჰყავს ქალაქის წყალის მილს ჯერ მაშინვე ემცნეოდა წყალს, რომ მღვრიეე იყო. მას შემდეგ ეს წყალი კვლავ იქმნა გასინჯული ქიმიურად და აღმოჩნდა, რომ სამინერალო მარილეულობა არა კლებულობდა. ბაქტერიოლოგიურად გასინჯვამ-კი დაგვარწმუნა, რომ მილის წყალში ბაქტერიები თანდათან მატულობდა, წარსულს წელს რამდენიმე ათასი ბაქტერიაც იპოვნეს ერთს კუბიკურს სანტიმეტრში და ეხლა ხომ ავჭალის წყალი ამ მხრივ არაფრით ჩამორჩება მტკვრისას. ამ მოსაზრებათა წყალობით, ბ-ნი ფილკენშტეინი იმ აზრს დასდგომია, რომ სასმელი წყალი არა-

## ფელეტონი

### მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა და მისი განმარტება

წარგეიმძღვარებია წინა სურვილით შემკობილნი პატიოსანნი ხატნი და ჯვარნი, მრავალ ნაწილნი და სასწაულთ-მოქმედნი, წიგნნი საღმთონნი ყოვლითურთ მოუკლებარნი, ბერნი და მღვდელნი სიწმიდისა იარაღით, სამკაულნი და საუნჯენი, კაცთაგან მიუწდომელნი აღრიცხვითა თვალგვარნი, შუქთა მომფენელნი მარგალიტნი უსასყიდლონი, ოქრო და ვერცხლი აღუწერელი ნიჴნითა, ხარქაშანი, სტავრა და ნახლი ოქროთნემსურნი, ქსოვილნი ხატაეთ შინა და მხევალნი ხადუმთურთ და შეილნი თავადთა და აზნაურთანი სარანგთურთ.

საყდარის იარაღი: მაცხოვრის ხატი მურასა[1]), ოქროთ მოჭედილი თორმეტის პატიოსნის იაგუნდითა, ათის პატიოსნის ბადახშოვანის ლალითა, თოთხმეტის ნიშაბურის ფირუზითა, ორმოცდა-ათი ხოშრის მარგალიტითა და ვერცხლის ბუდით. შემკობილი ძლი ჭეშმარიტი პატარა მურასად მოჭედილი ცხრის ხოშრის მარგალიტითა, შვიდის იაგუნდით, ოთხის ნიშაბურის ფირუზითა, ყოვლად წმიდის ხატი, მურასად მოჭედილი ექვსის იაგუნდითა, ექვსის ნიშაბურის ფირუზითა, სამის ხოშრის მარგალიტითა. წმიდის მარინის ხატი, მურასად მოჭედილი ექვსის იაგუნდითა, ექვსის ნიშაბურის ფირუზითა, ოთხის ხოშრის მარგალიტითა. აიაზმის ჯვარი მურასად მოჭედილი თოთხმეტის ხოშრის მარგალიტითა, თერთმეტის იაგუნდითა, თერამეტის ზურმუხტითა. ვერცხლით მოჭედილი ნაწილიანი პატარა ჯვარი თერამეტის ხოშრის მარგალიტითა, ხუთის სეილანითა[2]). მურასა თაწმინდური ჯვარი თოთხმეტის ზურმუხტითა. თევზის კბილის თაწმინდური მოჭრილი თორმეტ-საუფლო ხატი—ერთი, კიდევე თაწმინდური ხატი ერთი, რუსული, აშია მოჭედილი, სამების ხატი ერთი, რუსული, აშია მოჭედილი წმინდის ნიკოლოზის ხატი ერთი, აღდგომის ხატი თორმეტ-საუფლო ერთი, წმინდის გერასიმეს ხატი ერთი, მოჭედილი მურასად სახარება ერთი, კიდევ სახარება სამების ერთი, სამოციქულო სტამბისა ერთი, ჟამნი სტამბისა ერთი, დავითნი სტამბისა ერთი, კელით დაწერილი პატარა დავითნი ერთი, სტამბის მხედრული დავითნი ერთი, სარწმუნოების სტამბის წიგნი ერთი, თავისის ოქრო-ქსოვილით, ბოხჩებითა; სალმანიშვილი დიაკონი ერთი:

სერის (საეროს?) წიგნისაგან. ვეფხის-ტყაოსანი ერთი, ჯაზულით დახატული ერთი, ლეილ-მაჯნური ერთი, უსუფ-ზილიხანიანი ერთი, სამიანი ერთი.

სათამაშო: ჭადრაკი ერთი, ნარდი ხათაბანდისა ერთი, განჯაფა ერთი, საეზი სურხი ერთი, კურდღელი და ავაზა ერთი, თაგვ-ფიშიგი[3]) ერთი, კიდევ სხვა წვრილი სათამაშოები.

მარგალიტის ქედი ერთი, მრავლის ხოშრის მარგალიტითა, ნაკერი სიასამურით,[4]) იალქანი ერთი, კარგი და პატიოსანი, მრავლის ხოშრის მარგალიტითა, შიგ სხედს ბევრი კარგი ზურმუხტი და იაგუნდი მისის ოქროს თითრიმებითა, პირის მარგალიტი, ერთი, კარგი და პატიოსანი არის მარცვალი, დიდროვანი მარგალიტიც სამოცდა-შვიდი, შიგ სარევი ხოშარი მარგალიტი სამოცდა-შვიდი, თავისის მურასას ჯაჭვებითა, ოთხის მურასას კავებითა, საყურე წყილი ერთი, ორის ყირმიზის ბადახშანის ლალითა, ორის ობლის მარგალიტითა, ორის ნიშაურის ფირუზითა თავისის მურასას ჯაჭვებითა, შიგ სხედს ყირმიზი იაგუნდი ოცდა-თექვსმეტი X სირიზა ერთი კარგი. და პატიოსანი ცხრას ოქროს ქულიჩითა, შიგ სხედს პატიოსანი ზურმუხტი შვიდი, ყირმიზი იაგუნდი ოცი, ხოშარი მარგალიტი ორმოცდა-ცხრამეტი მისის მურასას კავებითა და თითრიმებით შემკობილი, ყამჩი მურასა ერთი, კარგი და პატიოსანი მრავლის ფეროვანის თულითა (თვალი) და მარგალიტითა შემკული, ჯიღა ერთი კარგი და პატიოსანი, შიგ ზის ყირმიზი იაგუნდი, ფრანგფასანდი ორი, ყირმიზი ლალი ბადახშანისა შვიდი, პატიოსანი ზურმუხტი ოთხი, ყვითელი იაგუნდი ერთი თავისის ორის ოქროს მურასას ჯინჯილითა, ორის მურასას შტოთი, თავში უსხედს ორი ობოლი მარგალიტი, თექვსმეტი პატიოსანი ზურმუხტი, თოთხმეტი ყირმიზი იაგუნდი, სხვა მრავალის თვალითა და მარგალიტითა შემკული, კიდევ მეორე ჯიღა ერთი, შიგ ზის სამი პატიოსანი ობოლი მარგალიტი, ოთხი ყირმიზი იაგუნდი ორმოცდა ოთხი ხოშორი მარგალიტი მისის შტოებითა და ჯინჯილითა, ყელსაბამი ერთი, კარგი და პატიოსანი ხუთის ოქროს ქულიჩითა, შიგ სხედს ფრანგ-ფასანდი, ყირმიზი იაგუნდი ცხრა, ზურმუხტი ორი, ნიშაური ფირუზი ცხრა, ყირმიზი ლალი სამი, ლურჯი იაგუნდი ორი, ხოშარი პატიოსანი მარგალიტი ორმოცდა ჩვიდმეტი მრავალის ოქროს ქერითა და ბირკითა, წურილის იაგუნდითა და ფირუზითა და სილსილებით, და სილსილებითა შემკობილი ყამჩი ერთი კარგი და პატიოსანი მრავალის პატიოსნის თვალითა, მარგალიტითა, ოქროს ქულიჩითა და სინსილითა შემკული; დუნბარჩა წყვილი ერთი ოქროსი, მრავლის პატიოსნის თვალით შემკული, მურასა ოქროს კელ-ჯაჭვი ერთი, ვარდი არის ორმოცდა-ერთი: შიგ ზის ყირმიზი იაგუნდი ორმოცდა-ერთი, ზურმუხტი ორმოცდა-ერთი სხვა მრავლის იაგუნდითა და მარგალიტითა შემკული, ამბარჩა ოქროსი ერთი, კარგი და პატიოსანი, შიგ სხედს დიდროვანი ყირმიზი იაგუნდი ოთხი, დიდროვანი ზურმუხტი ოთხი ხოშარი მარგალიტი თორმეტი, სხვის იაგუნდითა და ზურმუხტითა შემკული, კიდევე კარგი და პატიოსანი ოქროს ყელ-ჯაჭვი, კიდევე ერთი პატიოსანი მარგალიტის ყელ-ჯაჭვი; არის მარგალიტი დიდროვანი ასი, ოქროს ბირკი ორმოცი, თმისატანი პატიოსანი მრავალის მარგალიტითა და სამოცის ოქროს მილებით შემკობილი, ყოლბალი[5]) წყვილი სამი, შიგ ურევია დიდროვანი მარგალიტი ას-სამოცი, ოთხმოც-და-თექვსმეტი ოქროს ქერითა და ბირკითა, სხვას მრავალის ფეროვანის თვალით შემკული, პერანგის იახა კარგი და პატიოსანი: არის მსხვილი მარგალიტი მრავალი, შიგ სხედს პატიოსანი ზურმუხტი ოქროს ბუდებითა, თოთხმეტი ასრევ ყირმიზი იაგუნდი, თოთხმეტი ბეჭედი, კარგი და პატიოსანი, ათი ალმასისა, ყირმიზის ფრანგულის ფასანდის იაგუნდი ორი, ლურჯის იაგუნდისა ერთი, ყირმიზის იაგუნდისა ერთი, ზურმუხტისა ორი, ნიშაურის ფირუზისა ერთი, კარგისა და პატიოსანისა მარგალიტისა ერთი, იამანზედ მოჭედილი საბეჭდავი ერთი, კიდევ სხვა ოქროს საბეჭდავი ოქროსი ერთი.

საპირის ფარეშოსი: ოქროთ მოჭედილი სარდაფი ერთი, თავის ოქროს მოჭედილის თავითა, მუხამბაზის ფერის ოქროსი კოლოფი ერთი, სასურმე ოქროსი ერთი, საწებოვე ოქროსი ერთი, ოქროს ჩოფი (ჩქიფი?) ერთი, ოქროს მურასა სარხირე ერთი, ოქროს ჩხირი ოთხი, ოქროს თმის საყოფი ერთი, თავში უზის ყირმიზი იაგუნდი ერთი, ოქროთ მოჭედილი მურასა სარკე ერთი მისის მარგალიტით, ბუდითა, მარგალიტის სასურმე ერთი თავისის ოქროს მოჭედილის ჩხირითა, ბროლის ოქროს მოჭედილის უმარილის სალესავი ერთი, მისის ვერცხლის ნალბაქითა, საპნის ნალბაქი ვერცხლისა ერთი, ჩოლრათო ვერცხლისა ერთი, დიდი საბანვე ვერცხლის ჯამ-თასი ერთი, ოქროს მოჭედილი სარკე ერთი, საია სარკე ხუთი, საპირის-ფარეშოს ვერ-

*) იხ. „ივერია“ №№ 234.

[1]) მურასა მოოჭვილი.

[2]) სეილანი ქვაა წითელის ფერისა.

[3]) ფიშიგი ჩვენებურად კატა.

[4]) სიასამური, ანუ სამური соболій мехъ.

[5]) ყოლბალი დღესაც აუცილებელი სამკაული ინგილოების ქალებისა. ყოლბალს ჯინჯილებითა, დუგმებითა და ფულებით ავეთებენ და ახალოხის სახელოზე აკერებენ. ყოლბალი ნიშნავს სამკლავეს.

ფრით გაგვიუკეთესდა მას შემდეგ, რაც ავჭალიდგან გამოვიყვანეთო. დასასრულ ექიმი ფილკენშტეინი ამბობს, რომ მილის გამართვის შემდეგ ქალაქის გამგეობას არც ერთხელ არ გაუსინჯავს ყოველ მხრივ არც ეს წყალი და არც თვით მილი. ამ მიზეზით არ ვიცით რამ წაახდინა წყალი, რა შესცვალა და ან რა ეწამლებაო. არ ვიცით აგრეთვე, რამდენადა ვართ უზრუნველ-ყოფილნი, რომ რომელიმე გადამდები სნეულება არ გვეწვიოს ამ სასმელ წყალის შემწეობითაო. გაზეთ „ახალი მიმოხილვის“ სიტყვით, ამ წერილის განხილვა და იმის შესახებ მოლაპარაკება სამეორე-კრებოდ გადაუდვიათ.

*** ოზურგეთი: ამას წინად თ. გ. გურიელს მოუვიდა ბერლინიდამ გ. ფონ-ერკერტისაგან წერილი. ბ-ნ ერკერტს, როგორც წერილიდამ სჩანს, შეუგროვებია საჭირო მასალა ქართულის, მეგრულის, სვანურის და აფხაზურის ენების გამოსაკვლევად. დარჩენია შესაგროვებელი მასალა ინგილოურისა და ლაზურისა. ამ უკანასკნელის ენის მასალის შეკრება მეცნიერს დაუვალებია თ. გრ. გურიელისათვის. მასალის შესაგროვებლად ბ-ნ ერკერტს პროგრამმაც გამოუგზავნია. ამ ჟამად გერმანელ სწავლულთაო, ამბობს სხვათა შორის თავის წერილში ბ-ნი ერკერტი: დიდი ყურადღება ათხოვეს ქართულისა და ქართულ გვარ ენათა შესწავლას, რადგან ჯერ-ჯერობით ვერ გაუგიათ, ქართულ გვარი ენები განცალკევებული ჯგუფია, თუ არიულ ანუ ინდოევროპიულ ენათა მოდგმას ეკუთვნისო. ზემოხსენებული გერმანელი სწავლული წინად რუსის სამხედრო სამსახურში ყოფილა, გენერალ-ლეიტენანტობა მიუღია და შემდეგ, როდესაც უთხოვნიათ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეო, სამსახურიდამ გამოსულა და თავის სამშობლოში წასულა.

*** იქიდამვე: ამ დღეებში პატივცემულმა თავადმა გრ. დ. გურიელმა აქაურს საქალაქო სკოლას შესწირა ხუთასი მანათი. ეს ფული სკოლამ უნდა შეინახოს სახელმწიფო ბანკში და იმის სარგებლით ყოველ წლივ შეიძინოს ღარიბ შეგირდთათვის სასწავლო წიგნები. ეტყობა, თ. გრიგოლს, საპატიო მზრუნველს სკოლისას, კარგად მოეხსენება, რა წვალებაში არიან აქაური ღარიბი შეგირდები უწიგნობის გამო.

*** სოფ. სადმელი (ქვემო რაჭა): ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა სოფელში არა ერთი და ორი კარაბადინი ინახება ძველის დროისა, თუ ნათარგმნი და თუ ჩვენშივე შედგენილი. ყველა ამათი ერთად თავის მოყრა საჭიროა. საჭიროა აგრეთვე გასინჯვა და შესწავლა მათი ჩვენ ნასწავლ მკურნალთა მიერ. სხვათა შორის ამ სოფელშივე იპოვება ბ-ნ ი. ა. კე—ის ოჯახში ძველი კარაბადინი. სახელად ამ წიგნს ჰქვიან «ცხენის კარაბადინი». როგორც სჩანს წიგნიდგან, იგი შეუდგენია ვახტანგ ბატონიშვილს (რა დროს, არა სწერია) და ხოსია იაშვილს-კი, ჩყლ წელს ოქტომბრის 2 დღეს, გადაუწერია.

საყურადღებოა ეს ხელ-ნაწერი წიგნი მით უფრო, რომ იმის შემწეობით, როგორც დავრწმუნდით, ხშირად და ადვილად არჩენენ ცხენ-ჯორებს სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგანაო.

*** ხაშური: მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ხალხში, მეტადრე დედაკაცებში, ბევრმა იცის უებარი წამლობა ზოგიერთის მეტად ძნელად მოსარჩენის სენისა. ზოგმა იცის მორჩენა წყლულისა და ჭრილობისა, ზოგი არჩენს ჭიისაგან, ზოგი ცხვირის ტაბასტასა სწამლობს და სხვ. ჩვენშიაც სცხოვრობს ერთი ასეთი შინაური მკურნალი, რომელიც საკვირველად არჩენს სხვათა შორის გაძნელებულს ბუასილს. ეს მკურნალი ტომით სომეხია, სახელდობრ გრიგოლ ივანეს ძე ტერ-ანტონოვი, და იმის ხელოვნებასა და საკვირველს ცოდნას ბევრი გაჭირებული ავადმყოფი დაუხსნია საშინელის ტანჯვა-წვალებისაგან. ჩვენ როგორღაც მოვკარით ყური ტფილისში ყოფნის დროს, რომ ზოგიერთი ჩვენებური ნასწავლი მკურნალნი აგროვებენ ჩვენებურ წამლობა-მკურნალობის შესახებ დაწვრილებულს ცნობებს. სასურველია, რომ ამ მკურნალებმა მიაქციონ ყურადღება ზემოხსენებულის შინაურ მკურნალის ტერ-ანტონოვის წამლობა-მკურნალობასაც.

*** იქიდამვე: ოთხშაბათს, 1 ნოემბერს, ღამის სამს საათზედ, აქ ცეცხლი გაუჩნდა შენობებს და დაიწვა ხუთი სახლი. ეს სახლები ეკუთვნის: ჯობაძეს, თევდორაძეს, შურგაიას და სხვ. უფრო მომეტებულად ის ვაჭრები დაზარალდნენ, რომელთაც მაღაზიებიდგან საქონლის გამოტანა ვერ მოასწრეს. განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდა ოსმალ-მალალ-ოღლის, რომელსაც შეიდას თუმნამდე ქონება დაეწვა და შიშველ-ტიტველი დარჩა ცოლ-შვილითურთ ამისთანავე უბედურება ეწვია აკოფოვსა და არუთინოვს. ვინც მოასწრო და საქონელი გამოიტანა, არც იმათ დაეყარათ კეთილი, რადგან ქუჩაში დაყრილი საქონელი თითქმის სულ ერთიან ქურდულად გაზიდეს აქეთ-იქით. ჯერ გამოწვრილებული არ არის, თუ ვისა ჰქონია დაზღვეული ქონება. ცეცხლის გაჩენას ზოგი ბოროტ-მოქმედებას აბრალებს, ზოგი შემთხვევას.

*** ქუთაისი: პირველ ნოემბერს კრება იყო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობისა და ზედამხედველის კომიტეტისა და ამ კრებაზე 24 კანდიდალში ამორჩეულ იქმნენ დამფასებლად: ერთი ძველი დამფასებელი რ. ბაგრატიონი და მეორე ახალი— ა. ნანეიშვილი.

*** გაზ. „კავკაზსა“ სწერენ ქიზიყიდამ, რომ ამ დღეებში ბოდბეს წმ. ნინოს მონასტერში გაიმართა დედათა სასწავლებელი. სასწავლებელში ჯერ-ჯერობით 12 შეგირდია ბინად და იმედია ეს რიცხვი ბევრად იმატებს, მასწავლებლად მიუწვევიათ ქ-ნი ფურცელაძისა.

*** „ტფილ. ფურც.“-ს შეუტყვია, რომ „გლეხთა დებულება“, ამ ხანებში გადათარგმნილი ქართულსა, სომხურსა და თათრულს ენაზედ, უკვე გადაუცია გუბერნიის სამმართველოს დასაბეჭდად.

## რუსეთი

მომავალს წელს საერო განათლების სამინისტროს შემდეგი ხარჯი მოელის: უნივერსიტეტებზედ უნდა დახარჯოს 3.150,500 მან.; დემიდოვის იურიდიულ ლიცეიზედ—49,262 მ.; გიმნაზიებსა, პროგიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებზედ—6.067,278; რეალურსა და სამრეწველო სასწავლებლებზედ—2.203,447 მანეთი, სამაზრო და საქალაქო სასწავლებლებზედ — 1.665,296 მანეთი; პირველ-დაწყებით და სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლებზედ—1.788,784 მან.; ისტორიულ-ფილოლოგიურს ინსტიტუტებზედ გიმნაზიებითურთ—248,759 მ.; სამასწავლებლო ინსტიტუტებსა, სემინარიებსა და სასწავლებლებზედ—1.232,135 მ., პროფესორების მომზადება, სამეცნიერო აზრით სამგზავრო ხარჯი და იმპერატორ პეტრე დიდის პრემია—102,620 მ.; შესაწევარი—883,946 მ.; სამეცნიერო დაწესებულებათა ხარჯი—717,678 და სამეცნიერო საზოგადოებათა და დაწესებულებათა შემწეობა—67,093 მ.

— ვარშავში ხორცის გაყიდვისათვის ერთის კარგის წესის შემოღება განუზრახავთ. უნდათ დააწესონ, რომ გასასყიდ ხორცის ყველა ნაჭერს ზედ ბეჭედი ესვას და იმ ბეჭედზედ ეწე-

---

ცხლის გოდორი მოჭედილი ერთი, ლეჩაქი დარღვეული ცხრა, დაურღვეველი ლეჩაქი ცხრა, სანასკვე მოკაზმული ცხრა.

აბანოს იარაღი: სუზანი ერთი, ყადიფა ორი, პერანგი ხალასად ნაკერი ერთი, პირსახოცი ორი, ფუთა დარაისა ორი, ამისვე დარაისა და ნაქსოვისა ოთხი, ორხოვა ერთი, ქეჩა ერთი, ვერცხლის საბანოვე დიდი ჯამი ერთი, ჩოლრათო დიდი ერთი, სათბობი თუნგი ერთი, საბანოვე ტაშტი ერთი, ქვაბი ერთი.

პერანგი და მისი ტოლი: პერანგი სამი ცხრა: ცხრა ბურსეულისა, ცხრა მერდინისა, ცხრა ფერანდის მოვისა, პერანგის ღილი ობოლი პატიოსანი მარგალიტისა მარცვალი ცხრა, ბადახშნის ყირმიზი ლალისა ერთი, გილანური გულქანდა კაის თვალებითა, მურასა პერანგის ღილი ცხრა, კიდევ ოქროს თვალებით შემკობილი ღილი ორი ცხრა, კიდევ ერთი ოქროს ბუდით, სამის მარგალიტით, ერთის ფირუზით გაკეთებული პერანგის ღილი, ამათი ტოლი ფერადის სადა ხარისა ცხრა, დარი-ბაბთისა ცხრა, შეიდიშისა ცხრა.

ახალუხი ფერადის დარაი-ბავთისა ცხრა, ყრმისა სამი, თეთრი ერთი, ბროწეულ-ყუავილის ფერი ერთი, ისფერი ორი, ჩინი ერთი, მწვანე ერთი, ფერადი დარაისა ახალუხი თეთრი ერთი, ყირმიზი ორი, ნარინჯი ორი, ხოხბის ყელი ერთი, ლულა ყუთნისა თეთრი ერთი, მწვანე ორი. იქნა არხალუხის ჯამი ორი ცხრა.

ფათანის პატიოსნისა დოლბანდისა [6]) საგულავები: ყირმიზისა სამი, მისის პატიოსნის ღილებითა და ხრიკებითა, ყირმიზის პატიოსნის ყაბაჲარის საგულე ერთი მისის ღილითა და ხრიკებითა, კიდევ პატიოსნის გულიბარის ყაბაჲარის საგულე ერთი, მისის შეიდის ოქროს ღილითა და ხრიკითა, კიდევ პატიოსნისა მძიმეს ჩერქეზ ბაბის საგულე ერთი, ღილითა და ხრიკებითა, კიდევ ფერადისა ნაქსოვისა საგულე სამი: ყირმიზისა ერთი, ნარინჯისა ერთი, ისფერისა ერთი. საგულის ჯამი ცხრა.

კაბა ისპანის დიბისა ყვითელი და პატიოსანი ერთი, შეიდის ფირუზქარის გილანურის ოქროს ღილითა, მისის ოქროს ხრიკებით, წითელის ისპანის ნაქსოვისა კაბა ერთი, ცხრის მარგალიტის დიდროვანის ღილითა ერთი, ცხრის მარგალიტის ღილითა ხრიკებითა, ისფერი იეზდის ნაქსოვისა კაბა ერთი, ჩალღულის გილანურის ღილითა და ხრიკებითა ყვითელი ოქრო-ქსოვილი კაბა ერთი, გილანურის გულქანდის ოქროს ღილითა და ხრიკითა, ისპანის ნაქსოვი კაბა ერთი, გილანურის ჩალილულითა და ხრიკებითა ყვითელი ისპანის ნაქსოვის კაბა ერთი, გილანურის ჩალილულითა და ხრიკებითა, ხორცის ფერი ისპანის ნაქსოვისა კაბა ერთი, გულანურის ჩალილულითა და ხრიკებითა, ისფერი ნაქსოვისა კაბა ერთი, გილანურის ჩალილულითა და ხრიკებითა, ყირმიზითა და მწვანითა ჩაქსული კაბა ერთი, შეიდის მარგალიტის ღილითა და ხრიკებითა, კიდევ ისფერის იეზდის ნაქსოვისა კაბა ერთი, გილანურის ჩალილულითა და ხრიკებითა, ფრანგის ატლასის კაბა ჩალის ფერი ერთ ორის არშიითა, ცხრის წყვილის ოქროს ჩაფრასტითა და ხრიკებითა; დარაიბაბთის კაბა ცხრა: სამი წითელი, სამი ისფერი, სამი მწვანე, მისის ღილითა და ხრიკებითა; ზარლუჩაქინის კაბა ხუთი: წითელი ორი, მწვანე ერთი, ყვითელი ერთი, ისფერი ერთი მისის ჩალილულებითა და ხრიკებითა, თეთრის იეზდის დარაიბაბთის კაბა ერთი ცხრის ოქროფირუზქარის ღილითა და ოქროს ხრიკებითა; სადა ჩაქანის კაბა ცხრა: წითელი ერთი, ნარინჯისა ორი, ხოხბის ყელი სამი, ისფერი ორი, ფირუზის ფერი ერთი მისის ღილითა და ხრიკითა; სადა ფრანგულის ხარისა კაბა ფერად-ფერადი ცხრა: წითელი სამი, ყვითელი ორი, ფირუზის ფერი ორი, ისფერი ორი გილანის ჩალილულითა და ხრიკებითა; ფერადის დარაის კაბა ცხრა: ბროწეულ-ყვავილის ფერი ორი, ყვითელი სამი, ფისტია სამი, თეთრი ერთი მისის ღილებითა და ხრიკებითა; კიდევ სამი დარაის კაბა: ჩაქანისა თეთრი ერთი, ყვითელი ერთი, ნარინჯი ერთი. იქნა კაბის ჯუმალი ექვსი ცხრა და სამი.

წელ-საკიდისა: წელ-საკიდისა მურასად პატიოსანი დანა ერთი პატიოსანი თვალებით, კრიალოსანი მარჯნისა ორი, ერთი ხუთის ოქროს ბირკითა, ქარვისა ერთი, გიშრისა ერთი, სხვა ფერადი ხუთი. კიდევ პატარა ჯაყუა დანა ოქროსი ერთი კარგი და პატიოსანი, მძიმე ოქროს ქამარი ერთი, სარტყელი ისპანისა ერთი, კარგი და პატიოსანი ბუთა დარი, ისფერი ყვითელი მურასა, პატიოსანი სარტყელი ერთი, თეთრი მძიმე მურასა სარტყელი ორი, მურასა ყვითელი სარტყელი ერთი, შუშტა შალი უნაბის ფერი პატიოსანი ერთი, კიდევე პატიოსანი შუშტა შალი ერთი, თეთრი შუშტა შალი ერთი. იქნა ჯამი სარტყლების ცხრა.

ოქრომკედით ქსოვილი წმინდა კულისახოცი: ერთი თეთრი, ჯორაბი [7]) ნაკერი სამი, დიბისა ორი, ფერადის ნაქსოვისა ოთხი.

ხალასად ნაკერი და პატიოსანი ქათიბი ერთი კარგი პატიოსნის სიასამურით დაბეწვილი, ქათიბი ისპანის ყვითელი დიბისა ერთი კარგი და პატიოსნის სიასამურით დაბეწვილი, იეზდის ისფერის კარგისა და პატიოსნის ნაქსოვის ქათიბი კურდღლით დაბეწვილი, კიდევ ყირმიზის ხარის ქათიბი კურდღლით დაბეწვილი.

ტყავი ერთი მარგალიტისა დიდის აშითა, მრავლის ათასის ხოშორის მარგალიტითა, ყირმიზს ფრანგულსა ატლასზე ნაკერი, კარგსა პატიოსანს სიასამურით დაბეწვილი ოთხის წყვილის ოქროს მურასას ქურთუბალითა: შიგ სხედს ოთხი ყირმიზი იაგუნდი, ოთხი ნიშაბურის ფირუზი სხვა მრავლის იაგუნდითა და ფირუზითა შემკული, მარგალიტის ფოჩებითა, ოქროს სინსილებითა, ოქროს ქსოვილის ზონრებითა; კიდევ ტყავი ერთი ყვითელის ისპანის დიბისა პატიოსნის სიასამურით დაბეწვილი, სამის წყვილის ხოშორის მარგალიტის ქურთუბალებითა, ოქროს ქსოვილის ზონრებითა და ოქროს სინსილებითა, თეთრი ისპანის დიბის ტყავი სიასამურით დაბეწვილი სამი წყვილი ქურთუბალებითა, ოქროს სინსილებითა, ოქროს ქსოვილის ზონრებითა, ფრანგის მძიმე ყირმიზის ხარის ტყავი სიასამურითა დაბეწვილი, სამი წყვილის მარგალიტებითა, ოქროს სინსილებითა, ოქრო ქსოვილის ზონრებითა, კიდევე წითელის ფრანგის ატლასი ზარბაბის ტყავი სიასამურით დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა და ოქრო-ქსოვილის ზონრებითა, თეთრის ქამხის ტყავი ერთი კურდღლით დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა და ოქროს ქსოვილის ზონრებითა, ნარინჯი ქამხის ტყავი კურდღლით დაბეწვილი ერთი, მისის ქურთუბალებითა, ოქრო ქსოვილის ზონრებითა, წითელი ხარის ტყავი ერთი კურდღლით დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა, ოქროს ქსოვილის ზონრებითა, ყვითელი ხარის ტყავი ერთი კურდღლით დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა ოქროს ქსოვილის ზონრებითა, ცისფერი ხარის ტყავი ერთი არშითა კურდღლით დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა ოქროს-ქსოვილის ზონრებითა, იეზდის ისფერის ნაქსოვის ტყავი ერთი ზარდალოთ დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა და ოქროს-ქსოვილის ზონრებითა, დიდი ნიმთალის ნაქსოვის ტყავი ერთი, ზარდალოთ დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა და ოქრო-ქსოვილის ზონრებითა, კიდევ ისფერის ნაქსოვის ტყავი ერთი, ზარდალოთ დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა და ოქროქსოვილ ზონრებითა, ხალასად ნაკერი და პატიოსანი ტყავ-კაბა ერთი, სიასამურით დაბეწვილი მისის მარგალიტის ქურთუბალებითა, ოქროს სინსილებითა, ოქროს ქსოვილის ზონრებითა; კიდევ ერთი დიბის ტყავ-კაბა, კურდღლით დაბეწვილი მისის ქურთუბალებითა და ოქროქსოვილის ზონრებითა. ესე ყოველი სამის ცხრის ნაკერისა ოქროქსოვილის დარაის ბოხჩებითა.

ცხრა ხალასად ნაკერი წუღა, სამი ხალასად ნაკერი მაშია, ექვსი კიდევ სხვა ფერადი მაშია, ორი წყვილი ჩექმა წითელი და თეთრი.

გამძღლი ერთი, ჭიჭალი (?) და პატიოსნის თავის თვალი და მარგალი-

[6]) დოლბანდი ანუ ნაჭერი.

[7]) ჯორაბი ჭრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს, რომ ამ-და-ამ დღეს არის ხორცი გასასყიდად გამოტანილიო. ამ წესის წყალობით ყასბები ძველსა და აშმორებულს ხორცს ველარ გაჰყიდიან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინება თურმე ამ ჟამად ახალი პროექტი სააქციო საზოგადოებისა, რომელსაც აზრად აქვს დაიგირაოს ხოლმე ფაბრიკები, ქარხნები და იქ მყოფი მაშინები.

— ამას წინად პეტერბურგში იყო კრება ფარმაცევტებისა და ამ კრებაზედ დაუდგენიათ, რომ მოვითხოვოთ, აფთიაქში მოსამსახურე შეგირდებს უფრო დიდი უფლება ჰქონდეთ განათლებისა, რეალურ გიმნაზიაში მაინც იყვნენ სწავლა-დამთავრებულნიო. აგრეთვე ვიშუამდგომლოთ, რომ საფარმაცევტო უმაღლესს განათლებაზედ მოლაპარაკების უფლება მოგვანიჭონო.

— გაზეთებში კიდევ საკმაოდ ბევრი იბეჭდება სხვა-და-სხვა წერილები და შენიშვნები განსვენებულ რუსის გამოჩენილ მწერალ ნიკოლოზ გაბრიელის ძის ჩერნიშევსკის შესახებ. გაზ. „Астраханскій Листокъ“-ი აი სხვათა შორის რა ამბავს მოგვითხრობს: ერთხელ ჩერნიშევსკის ძალიან უჭირდა ფული და იძულებული შეიქმნა ასტრახანის ერთ სარგებლით ფულის მძლეველ ებრაელისთვის მიემართა. ამ ებრაელმა ფული მისცა, ვგონებ სამასი მანათი, და ბარათიკი სულ არ ჩამოურთმევია. როცა ჰკითხავდნენ, როგორ ანდე უხელ-წერილოდ ფული, განა არ გეშინიან დაკარგვისაო, ეს კაცი უპასუხებდა თურმე: „ჩერნიშევსკის როგორ ვანდე?.. რატომ.. ჩერნიშევსკი არავის მოატყუებს, მოტყუება არ იცის...“ იმავ გაზეთის სიტყვით, ქალაქში წამსვლელ-მომსვლელნი უეჭველად შეივლიდნენ ხოლმე ჩერნიშევსკისთან და ელაპარაკებოდნენ, რომ იქნება აგვიხსნას სულის ამაშფოთებელი საკითხი— „რა ვქნათ, საქმეს რითი ვუშველოთო?“ მაგრამ გარდაცვალებული სულ ერთსა და იმავ პასუხს აძლევდა: „ისწავლეთ, ისწავლეთ, მხოლოდ მეცნიერება გასწავლით გზას მაგ საქმის მოხერხებისას და მხოლოდ ის აგიხსნის მაგ ამოცანასაო.

## უცხოეთი

ბრაიტონის კერძო არჩევანებზე ძლიერ გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. კონსერვატორების კანდიდატმა 2000 მეტი კენჭი მიიღო, ვიდრე გლადსტონელმა კანდიდატმა. ამ გარემოებამ ძალიან გაახარა კონსერვატორები და მათთან ერთად უნიონისტებიცა. კონსერვატორები და უნიონისტები ამტკიცებენ ახლა, რომ ჩვენი პოლიტიკა მოსწონს ერს და იმიტომ გავიმარჯვეთ ბრაიტინის არჩევანებზედ ირლანდიაშიო. ამ საგნის გამო ილაპარაკა გოშენმა და გარტინგტონმა და ორთავემ ისა სთქვეს, რომ ირლანდიაში ბევრად უკეთ მიდის ამ ბოლოს დროს საქმეებიო. ლიბერალებიც არ უარ-ჰყოფენ, რომ ირლანდია ახლა მოსვენებულია, ხოლო ამისი მიზეზი სრულიად ის არ არის, ვითომ ირლანდიელებს მოსწონთ ძალმომრეობის პოლიტიკა კონსერვატორებისა; ირლანდიელები დარწმუნებულნი არიან, რომ ლიბერალების მომხრეობა და თანაგრძნობა დღეს არა, ხვალ შესძენს იმათ თვით-მმართველობას და აი რისთვის არიან დამშვიდებულნიო. ამ საგანზედვე ილაპარაკა ამ დღეებში რადიკალმა სტანსფელდმა და სხვათა შორის სთქვა, რომ ამ ზაფხულს მოვიარე ირლანდია ჩემის მეგობრებითურთ და ყველგან დიდის პატივისცემით და გულ-უხვად მიგვიღესო, მაგრამ ეს პატივისცემა პირადად ჩვენი პატივისცემა-კი არ იყო, ლიბერალების დასის პატივისცემა იყოვო. კონსერვატორები ზოგს რას ჰპირდებიან ირლანდიელებს, ზოგს—რასა, მაგრამ ირლანდიელები ამბობენ, რომ რასაც უნდა დაგვპირდნენ და რაც უნდა აღგვითქვან კონსერვატორებმა, ჩვენ მაინც ინგლისის დემოკრატიასთან მეგობრობასა და კავშირს არ მოვიშლითო.

— ლიბერალებში ხშირად არის ახლა ლაპარაკი იმის თაობაზედ, თუ ვინ უნდა იყოს მოხუცის გლადსტონის შემდეგ მეთაური ინგლისის ლიბერალებისა. უმრავლესობას ორი კაცი მიაჩნია ამ მესვეურობის ღირსად. ერთია გარკური და მეორე—მორლეი. გარკური ფრიად მახვილ-გონიერი კაცია და მჭევრმეტყველი ორატორი, მაგრამ ბევრს არა სწამს, რომ მან შეიძლოს მესვეურობა ლიბერალთა დასისა. რჩება ისევ ჯონ მორლეი, რომელიც 1883 წელს გამოვიდა სა-პოლიტიკო მოღვაწეობის ასპარეზზედ და თავის მხნეობითა და ნიჭით საყოველთაო ყურადღება მიიქცია. მორლეის თუ არ ინდომებს მეთაურად, ისევ მუშა ხალხი არ ინდომებს, რადგან მორლეი წინააღმდეგია, რომ კანონ-მდებლობამ რვა საათის მუშაობა დააწესოს დღეში მუშებისათვის ქარხნებში.

ოსმალეთი. გაზეთებში აწერილია სადილი, რომელიც ხონთქარს გაუმართნია გერმანიის იმპერატორისათვის. დაპატიჟებული იყო სადილად 120 კაციო. სტუმრები ორს დარბაზში ისხდნენ. საპატიო სტუმრები უმთავრესს დარბაზში იყვნენ ერთად. ჯერ იჯდა ხონთქარი, იმის მარცხნივ იმპერატორი გერმანიისა, მერე ჰერცოგი ფრიდრიხ ვილჰელმ მეკლენბურგელი, გერმანიის დესპანი ფონ-რადოვიცი; ხონთქრის მარჯვნივ: იმპერატრიცა, პრინცი ჰენრიხი და სახელმწიფო მინისტრი გრ. ჰერბერტ ბისმარკი. ამავე დარბაზში ისხდნენ ელჩნი, ქალნი და ამალა. მეორე დარბაზში ისხდნენ: დიდი ვეზირი, ოსმალეთის დიდებულნი, გერმანიის საელჩოს წევრნი, მოხელენი გერმანიის საკონსულოსი და გერმანელნი აფიცერნი, აგრეთვე საპატიო ყარაული. სადილად 12 თავი საჭმელი მოიტანეს. პირველს დარბაზში სუფრაზე ყოველ გვარი ჭურჭელი ოქროსი იყო, ხოლო მეორეში ვერცხლისა. მათნი უდიდებულესობანი გაჰკვირდნენ, რომ ასეთი მდიდრული სუფრა იყო გაშლილი. სადილი გათავდა საღამოს 9 საათზე. მათნი უდიდებულესობანი 10 საათზე გამოეთხოვნენ ხონთქარს, რომელმაც იმპერატრიცა, ეტლამდე მიაცილა.

## დეპეშა

1 ნოემბერი *)

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესი წყალობა მოიღო ძიატვრობის განვითარების წასაქეზებლად დაარსებულს საიმპერატორო საზოგადოებაზე და ბრძანა, რომ, რადგან ამ საზოგადოების მზრუნველობაში მყოფი სამხატვრო სკოლა სასარგებლო ამაგსა სდებს ქვეყანას, მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდამ 100,000 მან., რათა უფრო გავრცელდეს სკოლის მოღვაწეობა იმისდა შესაფერად, როგორცა ვრცელდება და მატულობს მაგ სკოლისავე ზედმოქმედებით საჭიროება სამხატვრო და და სამრეწველო განათლებისა და სწავლა-ცოდნისაო. წყალობის წერილის ბოლოში სწერია: „ღმერთმან ჰქმნას ამა წყალობამან ჩვენმან სკოლისა განვრცელებითა და წარმატებით განავრცელოსცა მრეწველობა სამშობლოსი. წარმატება მრეწველობისა ახარებს გულსა ჩვენსა, რადგან იგი წარმატებაა, სხვათა შორის, ერთ-ერთი თავმდები ერის კეთილდღეობისა და ბედნიერებისა“.

სამხატვრო სკოლის ორმოცდაათის წლის იუბილეის დღესასწაულზე დაესწრნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი. პარაკლისის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ და პრინცესა ევგენია მაქსიმილიანის ასული ოლდენბურსკის თავმჯდომა-

*) დაგვიანებულა მავთულის გაფუჭების გამო.

ტის საყბეურითა, ცხრა ოქროს ღილითა, სამის პატიოსნის ტყავითა: ერთი დიბისა სისამურით დაბეწვილი, ორი იეზდის ნაქსოვის: ერთი კურდღლით დაბეწვილი, ერთი კუერნით დაბეწვილი მისის თორმეტის ხელის ოქროქსოვილისა, კაბა საგულისა ოქროქსოვილის სარტყლებითა, სამის ოქროქსოვილის კურდღლით დაბეწვილის ქათიბებითა და ტყავ-კაბითა მისის ყოველის რიგის ტანისამოსითა; პირის ფარეში კარგი და პატიოსანი ერთი, მისის რიგის სამკაულითა: იეზდისა ნაქსოვის ტყავი ორი კვერნითა და კურდღლით დაბეწვილი, ორის ოქროქსოვილის ქათიბითა და ტყავებითა, ცხრის ხელის ოქროქსოვილის კაბა საგულითა, სარტყლითა მისის ყოველის რიგის ტანისამოსითა; მედოშაკე მხლებელი ორი, თითო ორის ქსოვილის ტყავებითა: ერთი კურდღლით დაბეწვილი, ერთი კვერნით დაბეწვილი, ორი ოქროქსოვილის ქათიბითა და ტყავ-კაბითა, ცხრის ხელის ოქროქსოვილის კაბითა და საგულითა, სარტყლითა და მისის ყოველის რიგის ტანისამოსითა, აგრეთვე მეორე მედოშაკე ორის ოქროსქსოვილის ტყავითა: ერთი კურდღლით დაბეწვილი, მეორე კვერნით დაბეწვილი, ორის ოქროქსოვილის ქათიბითა და ტყავ-კაბითა, ცხრის ხელის ოქროქსოვილის კაბა-საგულითა მისის ყოველის რიგის ტანისამოსითა: მოლარე ერთი, მხლებელი ორის ოქროქსოვილის ტყავითა: ერთი კურდღლით დაბეწვილი, ერთი კვერნით დაბეწვილი, ორის ოქრო-ქსოვილისა ქათიბითა და ტყავ-კაბითა და მისის ყოველის რიგის ტანისამოსითა და ცხრისოქროქსოვილის კაბა-საგულითა, კიდევ სხვა ტყავიანი მხლებელი ორი კარგი და პატიოსანი, ორის ოქროქსოვილის ტყავებითა: ერთი კურდღლით დაბეწვილი, ერთი კვერნით დაბეწვილი, ორის ოქროსქსოვილის ქათიბითა და ტყავ-კაბითა, ცხრა ხელის ოქრო-ქსოვილის კაბა-საგულითა, სარტყლითა და ყოველისა მისის რიგის ტანისამოსითა, სამი უმცროსი მხლებელი შვიდის ხელის ოქროქსოვილის კაბა-საგულითა და ოქროქსოვილის ქათიბებითა და მისის რიგითა და ტანისამოსითა, მისის სარტყლებითა; გამდლის მუახლე ერთი, მისი შეფერებულის სამის ხელის ტანისამოსითა და ქათიბითა, ესე ყოველი უფროს შედეგნი მხლებელნი მათ მათის მართებულის ქვეშ საგებლით, ქვეშ საფენითა და ზანდუკებითა, მაფრაშებითა, ტაშტ-წუმწუმითა, სუფრითა, თასითა, სურითა, ყოვლის მისის რიგის სუფრის იარაღითა, უკლებად გაწყობით გარიგებულნი.

საწოლის იარაღი: დიდი ქირმანის თაქნაბადი წყვილი ერთი, ოქრო-მკედზე ნაკერი სუზანი ერთი, გაბა ერთი, ხალასა დოშერი ერთი, ვერცხლის თულუფთანი ერთი, ფარდა ოთხი, თახჩა და ფუჩი (ფეჩი). ექვსი, ჩინისა და ვენეტიკის თეფში და ჯამი, სურა, სირჩა შიგ უცხოდ სახე ყვავილებიანი მინა, ჩინის კულა, იქნა ჯამი ოზ-დახუთი.

ვერცხლის იარაღი: ერთი ფიიშ ბუხარი, შაბაქა ერთი მისი ჯავარდენის ათეშქაშითა და მაყაშითა, მისის საის ზირანდაზითა; სკივრი ოთხი: ორი ხათაბანდისა და ერთი დიდი და ერთი პატარა სარკისა, ერთი დახატული ვერცხლის ოქროთ დაფერული, დაწნული გიდელა ერთი, შირაზის მინა მრავალი, ვერცხლის დიდი სურა ერთი, პატარა ვერცხლის სურა ერთი, კიდევ ვერცხლის სურა ერთი, თასი ოქროსი, თასი ვერცხლისა ხუთი, ფიალა ვერცხლისა ორი, სანაჟურე დიდი ვერცხლისა ერთი, სანაჟურე კიდევ ვერცხლისა ერთი, თას-ყაშული ვერცხლისა ერთი, სამარილე ერთი, კოვზი ერთი, სუფრა ყაშული 8) ვერცხლისა ერთი, სასუფრე დანა ოქროთ მოჭედილი ერთი, ზირანდაზი 9) კარგი თალათინისა 10) ერთი, იახტანი ერთი, ხალიჩა ფუჩი საისა ერთი, სპილენძისა სურა ორი, აზარფეშა ვერცხლისა ერთი, წინ დასაფენი ზირანდაზი ერთი, ვერცხლის ფიალა შვიდი, ვერცხლის ჯამი შვიდი, ვერცხლის ნალბაქი შვიდი, თეფში ვერცხლისა ხუთი, სპილენძის ჩამჩა ერთი, აგარდანი ერთი, ბადია ერთი, მაჯმა 11) ხუთი, ნალბაქი ცხრა, ფიალა ცხრა, ხონჩა ხუთი, ქაშანური ჯამი ცხრა, ნალბაქი ცხრა, ფიალა ცხრა, მინა ცხრა, კოვზის დასტა ერთი, სადოშაკო კარგი სრული და პატიოსანი, დოშაკის ხაველის ზირანდაზი, ერთი ბუმბული ყუვისა, საპირე კარგი და პატიოსანი ოქრო ქსოვილის მძიმის ნაქსოვისა ერთი, დოშაკი პატიოსანის ხაველისა ერთი, ზეწარი კარგის ყალამქარისა ერთი, დორი კარგისა და პატიოსნის ოქრო ქსოვილისა ერთი, ბალიში კარგისა და პატიოსნის ისპანის დიბისა, საპირე ერთი კარგის ნაქსოვისა, ბალიშის საპირე ერთი, საბანი ხალასად ნაკერი კარგი და პატიოსანი ერთი, საბანი კარგისა და პატიოსანის ისთი, ისპანის დიბისა ერთი, საბანი კარ-

8) ყაშულ კოვზია, სუფრა-ყაშულ საწვნე ჩამჩა.

9) ფეხთ ქვეშ გასაშლელი საფენი.

10) თალათინი ტყავია.

11) მაჯმა ანუ მეჯმა რგვალი, დიდი და მრავალ-ფერად ჩაჩუქურთმული სინია.

გის დარაიბაბთისა ორი, დოშერი ოქრო ქსოვილისა ერთი, მაფრაშა თალათინისა წყვილი ერთი, ფარდაგისა წყვილი ორი, თულუბთანი ვერცხლისა ერთი, სხვა თულუბთანი ორი, საფარეშოს იარაღი კარგი და სრული, ორხოვა ქირმანისა წყვილი ორი, ხალიჩა ორი, თაქნაბადი ცალი სამი, ფიზოზი ვერცხლისა ერთი, ფიდანი და კოვზი ვერცხლისა ერთი ზირანდაზითა, შამდამი ვერცხლისა ერთი, თავის ვერცხლის ზირანდაზითა და მაყაშითა, სპილენძის ფიზოზი ორი, ტაშტ-წუმწუმა 12) ვერცხლისა ერთი, სპილენძისა ორი, ფიზოზი სათბობი თუნგი ერთი, სუფრა და პატიოსნის ნაქსოვისა ერთი, ყალამქრისა ორი, სხვა ჩითისა ოთხი, აქანდაზი ერთი, მაყალი ორი, ნიამდანი ერთი.

სამზარეულოს იარაღი: დიდი საძროხე ქვაბი ერთი, სხვა ქვაბი სამი, ტაფა ერთი, თანგირა ერთი, ყაბი და ზარფუში შვიდი, თეფში სამოცდაათი, ჯამი ოცი, სუფრა ყაშული ერთი, თუშფალანგი 13) ერთი, ავარდანი 14) ერთი, გარაოს 15) ტაფა ერთი, შამფური ხუთი, ხათრითი 16) ერთი.

სახაბაზოს იარაღი: ქვაბი ერთი, სამტკიცი ერთი, საცერი სამი, ჩანგალი ერთი ყოვლისფერის მისის იარაღითა.

12) წუმწუმას დღეს ქართლ-კახეთში ალთაფას ეძახიან, საინგილოში ისევ ძველებურად წუმწუმას. ხოლო ალთაფა წარმოსდგება თათრულის სიტყვებიდამ: ალ ხელი და თაფა ტაშტი, თარგმანით ხელ-ტაშტი.

13) თუშფალანგი ანუ ფლავის საწურავი ფალანქაში.

14) ავარდანი ანუ ავგარდანი, დიდი ჩამჩა.

15) გარაო ანუ მჟავით მწვარი მწვადი და სხვ.

16) ხათრითი, ე. ი. შამფურის წვერის დასადგმელი. ინგილურად საყუნზური ჰქვიან.

საზინდროს სრული და კარგი: ბედაური ცხენი ერთი, უნაგირი მურასა ოქროსი კარგი და პატიოსანი ერთი, თაქალთო ხალასად ნაკერი ერთი, რახტი ოქროსი კარგი და პატიოსანი ერთი, ბილანი ვერცხლისა და დაფერული ერთი, ზილფუში 17) საისა ერთი სამარქათოთი, მუქამალითა და ყოვლის მისის იარაღითა: ჩულითა და საკრავებითა, ოქრო ქსოვილის ზონრითა და მრავლის ხოშორის მარგალიტითა, შათირი 18) ერთი მისის მოკაზმულობითა, მისის ორის ხელის ტანისამოსითა; ნახუცრისშვილი ბექან მერიქიფეთ 19), სავანელი ამირანა მერიქიფეთ, რუსიშვილი გიორგი მერიქიფეთ, მათის შედარებულის ტანისამოსითა, თუშმალათ 20) მათი შვილი ბექუა მისის შედარებულის ორის ხელის ტანისამოსითა, მოლარეთ-ხუცის შვილი დათუნა მისის შედარებულის ორის კელის ტანისამოსითა, ფარეში 21) ერთი ორის კელის ტანისამოსითა, ზინდარი 22) ერთი ორის კელის ტანისამოსითა.

ამ სიას ქვეშ აწერია საკუთარის ხელით: „ვახტანგ“.

1889 წ. 15 ღვინობისთვეს.

ქ. ტფილისი.

17) ზილფუში ანუ ორთუქი, ცხენის მოსართავი.

18) შათირი ანუ შიკრიკი.

19) მერიქიფე ღვინის მწდე, ღვინის მსხმელი და მიმრთმელი სუფრაზე.

20) თუშმალი სასახლის მოხელე, რომელიც საჭმელებს ჯერ თითონ გასინჯავდა და მერე ბატონის სუფრაზე მიიტანდა.

21) ფარეში შინა მოსამსახურე.

22) ზინდარი მეჯინიბე.

ესომ

რეობით დაიწყო საიუბილეო აქტი. უმაღლესის წყალობის წერილი წაკითხულ იქმნა ფინანსთა მინისტრის მიერ. საზოგადოებამ მიიღო მრავალი ადრესი და დეპეშა სამხატვრო სკოლის ორმოც-და-ათის წლის იუბილეის მილოცვისა. ზოგიერთს სკოლის მოამაგეს ებოძათ ჯილდოები, მათ შორის საზოგადოების სეკრეტრად ნამყოფს სამსახურიდამ გამოსულს ტიტულიარნი სოვეტნიკს დიმიტრი გრიგოროვიჩს ჩინი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობისა, საზოგადოების ხაზინადარს მიუსარს—ორდენი წმ. ვლადიმირისა მეორე ხარისხისა და თავ-მჯდომარის ამხანაგს—წმ. ანასი 1 ხარისხისა.

ხუთის წლის არსებობის დღესასწაული რუსეთის არტილერიისა გადადებულ იქმნა 8 ნოემბრისთვის, ესე იგი იმ დროისთვის, რომელიც სახელწოდების დღეა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა.

„Нов. Вр.“-ა იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს წარედგინება პროექტი იმ წესებისა, რომელიც შეეხება გლეხთა ამხანაგობას, შემდგარს მამულის სასყიდლად საამხანაგოდაო. ეს წესები ისეთივე იქნება, როგორიც არსებობს სხვა საკომერციო ამხანაგობათათვის, და არა ისეთი, როგორსაც ითხოვს დებულება 19 თებერვლისა 1861 წლისაო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ სახელმწიფო საბჭოსავე წარედგინება პროექტი საპენსიო და საემერეტურო კასის დაარსებისა ყველა იმ საქალაქო და სასოფლო სკოლების მასწავლებელ ქალთა და ვაჟთათვის და მათ სახლობათათვის, რომელნიც საერო განათლების სამინისტროს უწყებისანი არიანო. პენსიისა და ემერატურის მისაღებად და დასამსახურებლად სამ გვარი ვადა იქნება დანიშნულიო: 15, 20 და 25 წლის სამსახური.

პარიჟი. პალატის კრება დაიწყო 2 საათსა და 30 წუთზედ. 5 დეპუტატი მონმარტრის უბნისა და ბულანჟელების მომხრე დეპუტატები წავიდნენ ბურბონის სასახლეში: უნდა წინაალმდეგობა გამოვაცხადოთ, რომ არჩეულ იქმნა ბულანჟეს მოპირისპირე ჟოფრენიო. პრეზიდენტმა ორი სეკრეტარი გაუგზავნა, ჩამოართვით სათხოვარი და გაჰგზავნეთ კვესტურაშიო. დროებით პალატის თავმჯდომარედ ფლოკე იქმნა არჩეული. დიდი უწესოება არა ყოფილა-რა. შეიპყრეს 160 კაცი, სხვათა შორის დერულედიცა, საკუთრივ იმიტომ-რომ პოლიციას არ გაუგონა. შეპყრობილი მალე გაანთავისუფლეს.

რომი. ტანგერს წავიდნენ კრეისერი და ორი ნალმიანი გემი და თან წაიღეს ულტიმატუმი. ულტიმატუმში სწერია, რომ 48 საათის განმავლობაში უნდა აგვიხსნათ და დაგვაკმაყოფილოთ, რა მიზეზით აწყენინეთ იტალიის წარმომადგენელსაო. თუ ამ ვადაზე არ დაგვაკმაყოფილებთ, ყუმბარებს დავუწყებთ სროლას ტანგერსაო.

ინსპრუკი, 2 ნოემბერს, იმპერატორი ფრანც-იოსები ელოდა ვოგზალზე სამეფო მატარებელს. როცა მატარებელი მოვიდა, იმპერატორი მაშინვე შევიდა ვაგონში და გულითა და სულით მიესალმა იმპერატორს ვილჰელმსა და იმის მეუღლეს. იმპერატრიცა მალე შებრძანდა მეორე ვაგონში. ორივე იმპერატორნი მარტონი დარჩნენ და დიდის გულ მოდგინებით დაიწყეს საუბარი.

3 ნოემბერი

ვენა. ვადონიცას, გალიჩინას დაიწყო დღეს განხილვა 65 კაცის საქმისა. ბრალდებულთ ფორმალურად გაეხადნათ ალებ-მიცემისა და ვაჭრობის საგნად გადასახლების მსურველნი ოსვეჩინაში. ამ ბრბოს მცარცველებისას მოუსყიდნია რკინის გზის მოსამსახურენი, ჟანდარმები და მოხელენი საფინანსო უწყებისანი. თვით მაზრის უფროსიც-კი ჯამაგირითა ჰყოლიათ და წელიწადში 1,000 გულდენი უძლევიათ. ამავე ბრბოში ურევია პოლიციის კომისარიცა. ეს ავაზაკნი საცოდავს გალიციისა, რუსინებისა, სლავონიისა და ვენგრიის გლეხებს უსვინიდისოდ ატყუებდნენ თურმე. ბრალდებულს ოქმში საბუთებით არის მოხსენებული, რომ ამ ბრბოს გაუპარებია ამერიკაში 5799 ავსტრიელი ქვეშევრდომი, რომელთაც ნდომებიათ სამხედრო ბეგრიდამ ამოშვება და თავიდამ აცილება ჯარში წასვლისა.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ოქტომბ.

| | მოყიდვისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 65 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 152¹/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 247 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 227 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3¹/₂
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3¹/₂
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოდის (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაუწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. . . . . . . . | „ | 15 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა იმისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . . | „ | 15 |
| **Я. Гогебашвили.** Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| უდით . . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . | „ | 0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . . | „ | 0 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ღლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოსისა I ნაწ. . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . | 1 | 50 |


# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბამად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. —კ. | | 6 თვით . . . | 6 მ. —კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბამად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 3-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.